საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ერქომაიშვილი ნუგზარ ისიდორეს ძე



ერქომაიშვილი ნუგზარ ისიდორეს ძე (დ. 4. X. 1934, თბილისი), კინოოპერატორი. საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1985). დაამთავრა კინემატოგრაფიის საკავშ. სახელმწ. ინ-ტის საოპერატორო ფაკ-ტი (1979), 1962-იდან მუშაობდა კინოსტუდია „ქართულ ფილმში" თავდაპირველად ოპერატორის ასისტენტად, შემდეგ – მეორე ოპერატორად ფილმებზე: „დიდოსტატის მარჯვენა" (1969), „ლევან ხიდაშელი" (1973), „ივანე კოტორაშვილის ამბავი" (1974), „მწვერვალი" (1976) და სხვ. ე-მა გადაიღო ფილმები: „კაშხალი მთაში", „ნიკა მთაში" (ორივე 1979), „როგორ ვიცხოვრო უშენოდ" (1980). დამდგმელი ოპერატორია ფილმებისა: „ამაღლება" (1977), „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე" (1978; სსრკ სახელმწ. პრემია, 1980), „წერილები შვილებს" (1981), „დღეს ღამე უთენებია" (1983; საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს პრემია „ხუთწლედის მატიანე", 1984), „ბატონი ავანტიურისტები" (1985, გ. ჭელიძესთან ერთად), „ორომტრიალი" (1986), „მამა, შვილი და ნიავი" (1988), „ხედვის ანბანი" (1994), „ერთაწმინდა" (1994) და სხვ.

ა. გვენცაძე